

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ICOMOS** საქართველო

გურამ ყიფიანი

**ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი**

თბილისი

**2009**

ნარკვევი ეძღვნება ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში, კერძოდ კი კალას დომინირებულ სერზე წამომართულ ზოროასტრულ ცეცხლის სამლოცველოს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ირკვევა, იგი მალევე გადაკეთდა მეჩეთად, ბოლომდე შეინარჩუნა ზოროასტრული სახელწოდება – ათეშა. მისი სახე მთლიანად შეესაბამება გვიანსასანური ცეცხლის ტაძრების ტიპოლოგიას. მისი წარმოშობა, განადგურება და მეჩეთად გარდაქმნა, ასახავს საქართველოში, და კერძოდ თბილისში, VII-VIII საუკუნეებში მიმდინარე კულტურულ-ისტორიულ და პოლიტიკურ პროცესებს. ნარკვევი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის და თბილისის ისტორიითა და ბედით დაინტერესებულ მოქალაქეთათვის.

რედაქტორი: რამინ რამიშვილი

რეცენზენტები: გიორგი რჩეულიშვილი

გიორგი მარსაგიშვილი

© - ICOMOS საქართველო

© - გურამ ყიფიანი

ISBN 978-9941-0-103-7

## ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი

ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში, „კალა“-ში, აღმართულია კვადრატული გეგმის მქონე აგურის ნაგებობა<sup>1</sup> და მას „ათეშგა“-ს (ātāšgah) უწოდებენ, რაც საცეცხლეს, საგზებელს<sup>2</sup>, ცეცხლის ადგილს ნიშნავს და შინაარსობრივად იგივეა, რაც „ātašdan“<sup>3</sup>.

ყველა ეს ტერმინი ზოგადად იმ არეს აღნიშნავდა, სადაც ზოროასტრული ცეცხლი გიზგიზებდა: ლტაძარს, საკურთხეველს, საცეცხლე ჭურჭელს. ძველ ქართულ ლიტერატურაში „ათეშგა“-ს აღსანიშნავად „არტომანი“ (ან „ატრომანი“) დამკვიდრდა<sup>4</sup>.

„კალა“ ძველი თბილისის ყველაზე დიდი უბანია. მისი შედარებით დაბალი ზონა, ბატონიშვილ ვახუშტის გეგმის მიხედვით (გეგმაზე უბანი A), მჭიდრო განაშენიანებით გამოირჩევა, ხოლო კალაშივე, სამხრეთის კლდოვან სერზე, იმ არეში სადაც „ათეშგა“ აღმართული მხოლოდ ორი ეკლესიაა აღნიშნული: კარის ეკლესია (3), შესაძლოა ბეთლემის სახელობისა, და კლდისუბნის ეკლესია (70). (ილ. 1. 2)

ბატონიშვილი „ათეშგას“ თავის გეგმაზე არც ნომრავს და თითქოს არც აღნიშნავს, მაგრამ რაღაც კვადრატული გეგმის მქონე ნაგებობა იქ მაინც ჩანს, „კარის ეკლესიის“ (3) აღმოსავლეთით, ხევის

---

<sup>1</sup> ICOMOS-ის საქართველოს ორგანიზაციამ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის დაფინანსებით, ბეთლემის უბნის (ისტორიული კალას კლდოვანი სერის დასავლეთი მონაკვეთი), რევიტალიზაციის პროგრამის ფარგლებში, განახორციელა თბილისის ზოროასტრული ცეცხლის ტაძრის „ათეშგა“-ს გაზომვა და არქეოლოგიური, მცირე მასშტაბის გათხრები (ძირითადად გაწმენდა – პრეპარაცია). ძველი აიზომა და გამოიხაზა ქ-ნების ღია ბოკუჩავას და ნატო ცინცაბიძის მიერ. არქეოლოგიურ სამუშაოებს ქ-ნი ლალი ახალაია ხელმძღვანელობდა. მინდა მადლიერებით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ICOMOS-ის თბილისის ოფისმა კვლევისათვის გადმომცა ანაზომები. მე მათ უცვლელად ვაქვეყნებ სათანადო მითითებით, მაგრამ საჭიროდ მივიჩნეო მათში კორექტივების შეტანა. იგი რამდენადმე გეგმას, თაღების ფორმასა და ტრომპებს ეხება. როგორც დანამატს, ICOMOS-ის ანაზომების პარალელურად, ჩემს კორექტივში შეტანილ ვერსიებსაც ვაქვეყნებ სქემების სახით. მათ დამოუკიდებელი ანაზომის არავითარი პრეტენზია არა აქვთ.

<sup>2</sup> XII საუკუნის ძეგლში, ვისრამიანის ქართულ თარგმანში, „ātāšgah“, „საცეცხლე“-დ არის თარგმნილი. იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ. 1946. გვ. 90-91; საცეცხლე – „ესე არს სადა მარადის ცეცხლი ეგზების, გინა ცეცხლთა ჭურჭელი... გინა სახლი ცეცხლის მსახურთა შესაკრებელი“ – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. თხზულებანი, ტ. II. თბ. 1966. გვ. 68-69.

<sup>3</sup> იხ. D. Huff, Čahártáq, El. V. IV. F. 6. გვ. 637; აგრეთვე G. Gropp, Die Funktion des Feuertempels der Zoroastrier. AMI (NF). B. 2. 1969. გვ. 152.

<sup>4</sup> „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭემმარიტი ღმერთი და აღიარა „ატრომანი“ (მარტ. შუმ. 516);

„ატრომან“-ი, „არტომან“-ი ცეცხლის თავყვანის – საცემელი ტაძარი – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. 1973. გვ. 11; დაწვრ. იხ. მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ. 1966. გვ. 225..

კიდევ, ზოგადად იმ არეში, სადაც განსახილველი ძეგლია აღმართული (ათეშგა, სწორედ კალას ქედიდან მომდინარე ერთ-ერთი ხევის მარცხენა ნაპირასაა აგებული)<sup>5</sup>.

ის მოედანი, სადაც „ათეშგა“-ა აღმართული, კალას ერთ-ერთი დომინანტური წერტილია, და თვით კალას „სერს“ უპყრია „ბატონობა“ ძველი თბილისის ამ უბანზე (ილ. 37, 38). ათეშგას გარდა ამ ზოლზე ბეთლემის სახელობის ტაძარიც დგას (გვიანდელი „ღვთისმშობელი“, სომხური ნომენკლატურით „ფეთხანი“)<sup>6</sup>.

პლატონ იოსელიანის მიხედვით ბეთლემის ეკლესიას საფუძველი ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ჩაეყარა, ისევე, როგორც ძველი თბილისის<sup>7</sup> ოთხ სხვა ეკლესიას და მათ შორის თბილისის სიონსაც<sup>8</sup>. ე. ი. იმ ადგილსავე, სადაც ეხლა ბეთლემის გუმბათოვანი ტაძარი დგას, იმავე ადგილზე იგულისხმება V ს-ის ერთ-ერთი უადრესი ქრისტიანული ეკლესია<sup>9</sup>.

ამას გარდა გამოჩენილი სწავლული პლატონ იოსელიანი, ათეშგასაც უთმობს ადგილს თბილისის სიძველეთა შორის და გვაუწყებს, რომ: I \_ ათეშგას თბილისელები „საკერპო“-საც უწოდებენ. II \_ მისი მოღვაწეობის დროს (1845\_1875 წწ. \_ გ. ყ.). ათეშგა სრული სახით იყო შემორჩენილი, ე. ი. შეიცავდა გუმბათსაც. III \_ ქართველი მეეფეები მას კრძალვით ეპყრობოდნენ, როგორც წარსულის ძეგლს და IV \_ ნაწილი ქალაქის მოსახლეობისა მას მეჩეთად მიიჩნევს, მაგრამ „ათეშგა“-საც უწოდებს და „საკერპო“-საც<sup>10</sup>. ე. ი. ჩანს, რომ ამ ნაგებობის ძველი ფუნქციის შესახებ, მათ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ, და „ათეშგა“-ც და „საკერპო“-ც, მათთვის ერთგვარი ტექნიკური ტერმინების მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ეს ტერმინები მათ ღრმა წარსულიდან გადმოეცემათ.

აქ შეიძლება გვეფიქრა, რომ „ათეშგა“-ს გარდა, ამ ნაგებობის კიდევ ერთი სახელწოდება \_ „საკერპო“, ძველი თბილისის მოსახლეობისათვის იმან განაპირობა, რომ ყველაფერი

<sup>5</sup> ვახუშტი ბატონიშვილისეული თბილისის გეგმა არაერთხელაა გამოცემული. ყველაზე მკაფიო, მე მგონი, ვ. ცინცაძის ნაშრომშია ჩართული. იხ. В. Цинцадзе. Тбилиси. 1958. ტაბ. 12.

<sup>6</sup> ეს სიტყვა ებრაული უნდა იყოს – ბეთხანი. იგი სასაფლაოს აღნიშნავს და აქ მართლაც ივარაუდება ძველი ებრაული სასაფლაო. იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში. თბ. 1990. გვ. 8.

<sup>7</sup> „ძველი თბილისი“ კრებითი სახელწოდებაა საკუთრივ თბილისის, მოგვიანო სეიდ-აბადის, კალასი და მის არეში მოქცეული ციტადელისა და აკროპოლისისა („ედა ციხე“, გვიანდელი ნარიყალა), და ისნისა (ისანი, ნისანი), მტკვრის მარცხენა სანაპიროს განაშენიანებისა, სიმაგრითა და მეტეხის ტაძრით.

მოგვიანებით ქალაქს გარეთუბანიც მიება (ბატონიშვილის გეგმაზე \_ დ); „ძველი თბილისის“ რაობის შესახებ იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, წიგნში: „ქართლის ცხოვრება“ IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973. გვ. 333\_339; М. Полиевктов, Г. Натадзе. Старый Тифлис. Тифлис. 1929. გვ. 4 და შმდ.; В. Цинцадзе. Тбилиси. 1958. გვ. 17 და შმდ.; ვ. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება. თბ. 1960. გვ. 9 და შმდ.; Т. Р. Квирквелия. Архитектура Тбилиси. М.1985. გვ. 11-12; თ.

ჩიჭუა. საკუთრივ ტფილისის (გვიანდელი სეიდაბადის), მისი მთავარი ქუჩისა და ერთი უბნის არქიტექტურულ-საქალაქთმშენებლო თავისებურებანი. კამარა #3(6). 2007. გვ. 74 და შმდ.

<sup>8</sup> Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса. Тифлис. 1866. გვ. 9 და შმდ.

<sup>9</sup> სარგის კაკაბაძე თვლის, რომ პლ. იოსელიანი, როცა ის ვახტანგ გორგასლის მიერ მომავალი დედაქალაქის საქალაქო სივრცის დაგეგმარებას აღწერდა, ძირითადად ეკლესიურ წრეებში დაცული გადმოცემებით სარგებლობდა. იხ. სარგ. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასლის ხანა. თბ. 1994. გვ. 220.

<sup>10</sup> Пл. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса. Тифлис. 1866. გვ. 265-266.



არაქრისტიანული იქნებ წარმართობად აღიქმებოდა, მაგრამ ქართული სამყარო წარმართობასა („საკერპო“) და ცეცხლის ზოროასტრულ მსახურებას, ყოველთვის არჩევდა ერთმანეთისაგან<sup>11</sup>.

ძეგლის არქეოლოგიურმა გაწმენდამ თითქოს დაადასტურა ის, რომ იმ ადგილზე, სადაც „ათეშგა“ წამოიშობა, მანამდე წარმართული საკულტო სისტემა უნდა არსებულებოდა (იხ. ქვემოთ).

„ათეშგა“ მთლიანად აგურითაა ნაგები, გეგმა კი, თითქმის კვადრატულია (8,5 X 8,2), (ილ. 3, 5, 13), და ის მცირე, 30 სმ-იანი განსხვავება მის გვერდებს შორის, აღმოსავლეთის ფასადის დეკორატიული გაფორმების ხარჯზეა მიღებული (დეკორატიული ნიშები). ნაგებობა საფასადე სიბრტყეებზე შეიცავს, როგორც კუთხის, ასევე ცენტრალურ რიზალიტებს (ილ. 7, 9). ძეგლის „ათეშგა“-დ ფუნქციონირების დროინდელი აგურის სტრუქტურა, შემდგომში, მისი მეჩეთად გარდაქმნის დროიდან, გარე მხრიდან მთლიანად ახალი, აგურისავე „მოსასხამით“ შეიმოსა და რიზალიტებიც ამ მოსასხამის ელემენტია, მაგრამ მხოლოდ დეკორატიული და არა კონსტრუქციული. ეს ადგილზეც ჩანს (ილ. 21) და გრ. გაგარინის ნახატზეც (იხ. ქვემოთ). ე. ი. ჩანს, ის, რომ ჯერ „ათეშგა“-ს ოთხივე მხრიდან ღია, გახსნილი თაღები შეივსო, აღმოსავლეთის ფასადი დეკორატიული ნიშებით, კონქებითა და ორცენტრიანი თაღებით გაფორმდა (ილ. 11), შემდგომ იგი დაიფარა აგურის „მოსასხამით“ (ილ. 26, 29) და ბოლოს, კი მას დაემატა რიზალიტები. ჩანახატების მიხედვით თაღები ეკვილატერული სახისაა (ილ. 4, 6, 14, 15, 16, 17, 18) და მისი სახე აღარ შეცვლილა.

ამჟამად ნაგებობას კარი აღმოსავლეთიდან აქვს. მისი პორტალის თალი ნახევარწრიულია. კარის თავზე ორი ლუნეტია შექმნილი. კარის ღიობი ორცენტრიანი თაღით ბოლოვდება (ილ. 11, 14, 15, 28).

„ათეშგა“ რთულ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მკვეთრად დაქანებულ და უსწორმასწორო კლდოვან რელიეფზეა დასმული (ილ. 8). ეხლა ისე ჩანს, რომ ნაგებობა აღიმართა აგურის მაღალ ცოკოლზე და მასსა და ცოკოლს შორის „სუბსტრუქცია“-დ ქვიშაქვის ფილებია დაგებული (ილ. 23, 24, 25). ეს ფენილიცა და აგურის „ცოკოლიც“, სრულიად სხვა დანიშნულების კონსტრუქციაა. აგურის ცოკოლზე წამომართულ აგურისავე ნაგებობას არავითარი შუალედური შრე არ ესაჭიროება შემაკავშირებლის (კირხსნარის) გარდა.

ინტერიერში გაცილებით უკეთ იკითხება „ათეშგა“-ს დროინდელი წყობა. თუმცა მისმა ისლამურმა პერიოდმა თაღების მოყვანილობას სახე უცვალა და რამდენადმე შეისრული სახე მისცა. სამხრეთის საკედლე თაღში მიჰრავია შექმნილი, არაღრმა, გეგმაში სწორკუთხა ნიშის სახით (ილ. 12, 16, 17, 18, 30). გვიანდელი გადაკეთების შედეგად ინტერიერისა და ექსტერიერის ურთიერთშესატყვისობა მთლიანად დარღვეულია.

<sup>11</sup> იხ. თუნდაც „მოცევაძე ქართლისაჲ“-ს სიუჟეტები \_ „...ადიძრნეს ერნი.. ლოცვად წინაშე არმაზის“ და შმდ. „...მუნით ვხედვედი ცეცხლისა მსახურსა ერსა მოგუებსა...“; და ა. შ. და ა. შ.; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963. გვ. 84 და შმდ.

თავდაპირველი სახით შემორჩა სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ტრომპები (ილ. 17, 18, 33, 34), აგრეთვე ტრომპებსშორისი ცენტრალური განმტვირთავი ღიობიც (შდრ. მაგ. ნეისარის ჩაპარ-ტაკის ტრომპებსა და გუმბათს ან სარვისტანის სასახლის აგურის გუმბათსა და სხვ. (ილ. 62, 63, 64)). შემორჩენილი სისტემა აქ მთლიანად სასანური არქიტექტურის პროდუქტია. თავდაპირველი გუმბათი, რა თქმა უნდა, „ათეშგა“-ს არ შერჩებოდა (იხ. ქვემოთ), ახალი, ადრეისლამური გუმბათი, კი როგორც ჩანს, იმავე ტრომპებზე დაფუძნდა, და მეტ-ნაკლები სიზუსტით გაიმეორებდა სასანური გუმბათის ფორმას. გუმბათის სისტემასა და სახეს, ხომ ძირითადად ტრომპები განაპირობებს (იხ. ქვემოთ გრ. გაგარინის ნახატის დახასიათება).

საყურადღებოა „ათეშგა“-ს სივრცეში იატაკის ნაშთის დადასტურება (ილ. 5, 6, 18, 19, 20). იგი გამართულია „ცოკოლის“ დონიდან („ცოკოლი“ ჩრდილოეთიდან „ათეშგა“-ს სივრცეში იჭრება) 0,75 მ-ის სიმაღლეზე. იატაკი, ცხადია, თავდაპირველია და ამასთანავე არ ჩანს იმის აუცილებლობა, რომ ისლამურ პროგრამას მისი დონე შეეცვალა, შესაძლოა მიჰრავის არეში იგი ორიოდე საფეხურით აემაღლებინათ.

შიდა ფართობში რაღაც ინფორმაციას კლდოვანი ზედაპირიც გვაძლევს და კერძოდ, ესაა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კლდეში ჩაკვეთილი ოვალური (სიგრძე 0,87 მ., სიგანე 0,60 მ., სიღრმე 0,65 მ.) ღრმული (ილ. 5, 6, 31, 32). მისი ფუძე სამხრეთ-აღმოსავლეთ არეში ვერტიკალურ და გეგმაში სწორკუთხა (0,4 X 0,025 მ.) ბუდეცაა შეიცავს, რაც უდავოდ რკინის პირონისთვის იქნებოდა შექმნილი. ჩანს, რომ აქ რაღაც იყო ჩადგმული, და სიმტკიცისათვის კლდეზე ვერტიკალურადაც მიბმული. ე. ი. გვაქვს მცირე კონსტრუქცია, რომელიც წინ უსწრებს „ათეშგა“-ს, და მცირე საფუძველიც გვაქვს იმისათვის, რათა ვივარაუდოთ აქ კერპის სამყოფელი. შესაძლოა ამან წარმოშვა ამ ადგილის კიდევ ერთი და უადრესი სახელწოდება – „საკერპო“<sup>12</sup>. თუ ასეა, მაშინ რიგი ამ საკულტო არისა შემდეგნაირია: წარმართული სამლოცველო (საკერპო), ცეცხლის ტაძარი (ათეშგა), და მუსულმანთა სალოცავი (მეჩეთი) – რელიგიურ წარმოდგენათა ურთიერთმონაცვლეობის ტიპიური სისტემა წარმოშობილა.

„ათეშგა“ არაერთი მოგზაურის ნახატზე აისახა, და აისახა ის სხვადასხვა დროს შედგენილ თბილისის გეგმებზე. იგი რამდენიმე ძველ ფოტოსურათზეც ჩანს.

*ჟან შარდენი, ფრანგი მოგზაური და ვაჭარი. თბილისის ეწვია,*

*ქართლში ვახტანგ V (შაჰნავაზ I) მეფობის დროს, 1672-73 წწ.*

შარდენის პანორამა<sup>13</sup> რამდენიმე არაარსებითი ხასიათის პოლიგრაფიული ვარიანტითაა გამოცემული (ილ. 39\_43), მაგრამ ერთნაირად ინფორმატიულნი არიან ათეშგას მიმართ.

<sup>12</sup> **Пл. Иоселиани.** Описание древностей города Тифлиса. Тифлис. 1866. გვ. 265

<sup>13</sup> ნახატი, ალბათ მხატვარ გრელოს მიერაა შესრულებული, რომელიც თან ახლდა შარდენს. იხ. М. А. Поливектов. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тифл. 1935. გვ. 90\_94; ჟან შარდენის

პანორამაზე იგი ასახულია, როგორც კუბური მოცულობის ნაგებობა კვერცხისებური გუმბათით. ჩრდილო-აღმოსავლეთის არეში მას დაბალი და გრძივი ნაგებობა ებმის (ალბათ მედრესე). შარდენს იგი ჩამონათვალში არ შეუტანია, მის სიახლოვეს, აღმოსავლეთით, აღნიშნავს ქარვასლას (P), რომელიც გუმბათოვნების გამო, შეცდომით შეიძლება ფუნქციამოცვლილ „ათეშგა“-დ მივიღოთ, და ბეთლემის სახელობის ეკლესიასაც (I). ათეშგას კედლები მის ნახატზე სადაა – არ ასახავს საკედლე დეკორატივ თაღებსა და რიზალიტებს. შესაძლოა ეს სქემატურობით აიხსნას. ნახატზე უეჭველობით ჩანს, რომ კალას ქედიდან მომდინარე ერთ-ერთი ხევის მარცხენა სანაპიროს კლდოვან მასივზეა აღმართული „ბეთლემი“-ცა, და „ათეშგა“-ც.

### *ჟოზეფ ტურნეფორი (1701 წელი) – ფრანგი ბოტანიკოსი და ექიმი.*

მის პანორამაზე<sup>14</sup> ისნის ნაწილი ჩანს მეტეხით. „დედა ციხე“ (ნარიყალა), და ყველაზე სრულად, კი კალას უბანი და მისგან სასიმაგრო კედლით გამიჯნული გარეთუბანი (ილ. 44, 45), რომელიც მოგვიანებით შედის დედაქალაქის ფარგლებში. პანორამა ზოგადი ხასიათისაა და ჩანახატის დონეს არ სცილდება. ამასთანავე ძნელია აქ რომელიმე ნაგებობა უყოყმანოდ ათეშგად მივიღოთ. სამაგიეროდ „ბეთლემი“ გამორჩეულადაა ასახული. მის გვერდით, კუბური ნაგებობა, შესაძლოა სქემატურად ათეშგას აღნიშნავს. არ ჩანს მას გუმბათი ადგას თუ არა, თითქოს და, ადგას, მაგრამ ნახატზე იგი კლდოვანი მასივის „გამომხატველ“ შტრიხებშია გათქვეფილი (ილ. 44). კიდევ ერთი გუმბათიანი ნაგებობაა პანორამაზე ასახული ბეთლემის სიახლოვეს, და როგორც ჩანს, იგივე ქარვასლაა, რომელიც შარდენის ნახატზე ჩანს.

### *გრიგოლ გაგარინი – რუსი ფერმწერი, არქიტექტორი და ხელოვნების ისტორიკოსი,*

#### *თბილისში მოღვაწეობდა 1848\_54 წწ.*

გრ. გაგარინის ნახატი<sup>15</sup> ფრიად ინფორმატიული ხასიათისაა. აქ პერსპექტივშია ასახული მთელი უბანი და საკულტო ნაგებობათა თანმიმდევრობა: ბეთლემი (ფეთხანინი) საფეხურებითურთ და ქვედა სართულის თაღებით, აგურის სამრეკლო ბალდახინისებური გუმბათით<sup>16</sup> და „ათეშგა“ (ილ. 46-47). ამ ნახატზე ჩანს დასავლეთის ფასადის სანახევროდ ჩამოშლილი ცენტრალური რიზალიტი, მაგრამ ჩანს ისიც, რომ რიზალიტი მუსულმანური გარსის კონსტრუქციული ნაწილი კი არაა, არამედ დეკორატიული, რადგან ჩამოშლილ რიზალიტს, სრულებით არ დაურღვევია კედლის წყობა. ნახატზე ჩანს გუმბათის სახეც – ოდნავ

---

მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ),  
ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მაგლობლიშვილმა, თბ. 1975. გვ. 7.

<sup>14</sup> М. А. Полиевктов. Европейские путешественники XIII\_XVIII вв по Кавказу. Тифл. 1935. გვ. 171;

<sup>15</sup> Le Caucase Pittoresque Dessine D'Après Nature par le Prince Grégoire Gagarine Paris. MDCCCXLVII Pl. XXVI.

<sup>16</sup> უდავოდ XIX ს-ის სომხური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიმუში. იხ. და შდრ. С. А. Маилов. Армянские церкви XVII-XIX вв. в Азербайджане. АН. 33 1985. გვ. 145\_147.

„შეისრული“ (ილ. 47), ეს იმ ტიპს გავს გუმბათისას, რომელსაც ოგ. შუაზი აღწერს ა ტიპის სახელწოდებით: ტრომპებზე დაყრდნობილი, ზეაზიდული დ კვერცხისებური. იგი გუმბათის ამ სახეს ისლამური არქიტექტურის ყველაზე ადრეულ, სასანური არქიტექტურიდან, ისლამურზე გარდამავალ სახედ მიიჩნევს<sup>17</sup>.

ნახატზე გუმბათის, ტრომპებით წარმოშობილი სექტორებიც შეინიშნება<sup>18</sup>, და გარდა ამისა, ჩანს ის, რომ კედლის სიბრტეები, მის ზედა ნაწილში, საკმაოდ შესამჩნევ მრუდებს ქმნიდა, ანუ გადმოხრილები არიან გარე მხარეს. გამოდის, რომ კედლების ამ თავდაპირველ ტენდენციას დაექვემდებარა მისი ისლამური, დეკორატიული მოტივიც (რიზალიტები და თაღები). ამას გარდა ჩრდილოეთის კედლის სიბრტეის თავზე დახრილი „შუბლიც“ იკითხება, რაც იმის მაუწყებელია, რომ თავდაპირველად, მხოლოდ გეგმით კვადრატული შენობით არ ამოიწურებოდა ათეშგას არქიტექტურა და კედლები გარე მხარეებზე კამარებს წარმოშობდნენ. კედლებს ეს ტენდენცია დღესაც აქვთ შენარჩუნებული (ილ. 10).

არსებითი მნიშვნელობისაა გაგარინის ნახატიდან მიღებული ის ინფორმაცია, რომელიც გვაუწყებს, რომ ათეშგა აღმართულა აგურის ტერასაზე (შეუდარებლად გვიან მასზეა დასმული სამრეკლოც). ჩემი აზრით, ათეშგას ეხლანდელი „სამირკველი“ თუ „ზემირკველი“, სწორედ იმ ტერასის ნაშთია, რომელიც გაგარინმა დააფიქსირა. მის დროსაც ტერასა ფრიად სახეცვლილი იყო.

### **1900 წლის ფოტოგამოსახულება<sup>19</sup>**

ეს დოკუმენტი იმას გვაუწყებს, რომ „ათეშგაში“, ჩრდილოეთის მხრიდანაც შეუქმნიათ საკარე ლიობი (ილ. 48), ცენტრალური რიზალიტის მარჯვნივ, და ეს მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, როცა იგი მეჩეთად უკვე აღარ ფუნქციონირებდა. ამჟამად ჩრდილოეთის ფასადზე ჩანს ამ განარღვევის გამთლიანების კვალი.

### **XIX ს-ის მიწურულის ფოტოანბეჭდი<sup>20</sup>**

სურათი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდანაა გადაღებული და წინა პლანზე სწორედ „ათეშგა“ ასახული (ილ. 49). სამხრეთიდან მას მინაშენი აკრავს. აღმოსავლეთის მხარე, კი ამ დროისათვის თავისუფალია, მაგრამ კარგად ნიველირებული ტერასა, ფოტოზე იკითხება.

<sup>17</sup> ოგ. შუაზი. История Архитектуры. Том второй. М. 1937. გვ. 101. ნახ. 69А.

<sup>18</sup> შდრ. А. Godard. L' Art de L'Iran, Paris 1964. სურ. 159\_161.

<sup>19</sup> ფოტო ICOMOS-ის თბილისის ოფისმა მოიძია თბილისის ისტორიული მუზეუმის (ქარვასლა) არქივში.

<sup>20</sup> ფოტო დასესხებულია წიგნიდან: თ. გერსამია, ძველი თბილისი. თბ. 1984. სურ. 134.

### **თბილისის 1800 წლის გეგმა<sup>21</sup>**

ეს გეგმა სპეციფიკურია, აღნიშნავს მხოლოდ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და მათ შორის „ათეშგასაც“ (#93). ამ არეში ათეშგას გარდა, მხოლოდ ბეთლემის ეკლესია იკითხება (#73). განაშენიანების საზღვრებსა და ინტენსივობას გეგმა არ ასახავს (ილ. 50).

### **თბილისის 1809 წ. გეგმა<sup>22</sup>**

გეგმაზე კალას სერის კუთვნილი თითქმის ყველა საკულტო ნაგებობა აისახა: „ქვედა ბეთლემი“, ბეთლემი, სამრეკლო და „ათეშგა“ (ილ. 51). ეს უკნასკნელი იზოლირებულად გამოიყურება (უბნის განაშენიანებას არც ეს გეგმა არ გვიჩვენებს). დასავლეთიდან „ათეშგას“ რაღაც ტიხილი ნაშენი ედგმის (საფეხურებიანი ბაქანი?). ეს, როგორც ჩანს, ის საფეხურებია (ჩემგან ვერგარკვეული ფუნქციისა), რაც გრ. გაგარინის ნახატზეც ჩანს.

### **ნიკანორ ჩერნეცოვის პანორამა \_ 1831 წ. (ფრაგმენტი)<sup>23</sup>**

აქ ფოტოგრაფიული სიზუსტითაა მოცემული კალას დომინანტური სერის საკულტო ნაგებობანი (ილ. 52; შდრ. თანამედროვე ფოტოს ილ. 53), რიზალიტებს „ათეშგას“ ფასადებზე არც ნ. ჩერნეცოვი არ ასახავს, მაგრამ როგორც ჩანს გულისხმობს, რადგან კედლის დეკორატიულ თაღებს აღნიშნავს.

### **თბილისის 1884 წლის გეგმა<sup>24</sup>**

გეგმა ბეთლემის სამრეკლოს არ გვიჩვენებს, მაგრამ „ათეშგას“ „გარემო“ ზუსტად შეესაბამება თ. გერსამიას წიგნში გამოქვეყნებულ ფოტოზე ასახულ სიტუაციას: ათეშგაზე სამხრეთიდან მიდგმული გრძივი ნაგებობა, და მის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან მკვეთრად წინგამოზიდული „ათეშგა“. არც აქ არ აღინიშნება აღმოსავლეთის მხრიდან არავითარი მინაშენი (ილ. 54. შდრ. ICOMOS-ის თბილისის ოფისის მიერ შესრულებული განაშენიანების სქემას \_ ილ. 56, და 1998 წლის აეროფოტოტოპოგრაფიულ გეგმას, (ილ. 55)<sup>25</sup>.

<sup>21</sup> ლეგენდა: План Гор. Тифлиса с указанием исторических памятников общественного, военного и культурного значения к 1800 году.

<sup>22</sup> ლეგენდა: Уменьшенная копия с плана гор. Тифлиса, сост. Бановым 1809 г.

<sup>23</sup> პანორამის სრული ასახულობა იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801\_1917 წლები. თბ. 1960, ჩანართი ტექსტში.

<sup>24</sup> ლეგენდა: Дозволена цензурой 17 марта 1884 г. Г. Тифлись. Худож \_ Литогр. К. Томсона.

<sup>25</sup> მინდა მადლიერებით აღვნიშნო ის, რომ ძველი თბილისის გეგმების მოძიებაში ფასდაუდებელი სამსახური გამიწია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბ-ნმა ავთანდილ ჩიტიძემ.

როგორც აღინიშნა, „ათეშგა“ და მისი ისლამური დანამატები მხოლოდ აგურითაა ნაშენი, თუ არ ჩავთვლით „ცოკოლსა“ და „ათეშგას“ შორის ქვიშაქვის 8-10 სმ-ის სიმაღლის ფენილს (ილ. 25). აგურები კვადრატულებია, შეიძლება ნებისმიერ სამშენებლო ფენაში შეგვხვდეს ე. წ. „ნახევარი აგური“, მაგრამ იგი სტანდარტს არ ცვლის. სხვა ფაქტორებთან ერთად, აგურთა ფორმატები გვეხმარება ამ ძეგლის სამშენებლო ფენების ქრონოლოგიური რიგის გარკვევაში<sup>26</sup>.

„ცოკოლი“ (ილ. 23\_25) ნაგებია სტანდარტული აგურებით (0,245 X 0,245 X 0,05 მ). წყობა იჭრება „ათეშგას“ შიდა სივრცეში და აკონკრეტებს (ასე ჩანს ამჟამად), კლდოვანი რელიეფის გარკვეულ ნაწილს (ილ. 5). აქ ისიც ჩანს, რომ მისი დონე გაცილებით მაღალი იყო, და ანიველირებდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაფერდებულ კლდეს. კლდის ზედაპირზე შეიმჩნევა, მის სხვადასვა დონეზე, აგურთა „დაკირული“ ფრაგმენტები.

აგურის ეს სტანდარტი დასტურდება დედა-ციხის (ნარიყალა) უადრეს, ახ. წ. VI-VII სს-ის სამშენებლო ფენებში (ილ. 35). განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ციხის დასავლეთ მხარეს (ილ. 36). ეს ინტენსიური და მძლავრი წყობაა. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს, იმ ერთიანი, დიდი ტერასის ფრაგმენტებია, რომელზედაც ათეშგაა აღმართული.

ადრეშუასაუკუნეების საქართველოში, ამ სტანდარტს მიახლოებული აგური (0,245 X 0,245 X 0,05) საკმაოდ ჩანს გავრცელებული<sup>27</sup>. ამას გარდა იგი სასანური ირანისთვისაცაა დამახასიათებელი. ტახტი-ი სულეიმანის ზოგიერთ ნაგებობაში, წირთხლებსა და თაღებში, ამავე ფორმატის აგურები ჩანს გამოყენებული (ახ. წ. VII საუკუნე)<sup>28</sup>.

იგივე სტანდარტის აგური ჩანს თბილისის „ათეშგას“ ძირითად ჩონჩხსა და ტრომპებშიც. საიატაკე ფილების (აგურების) ზომა ოდნავ აჭარბებს მათ (25 X 25 X 0,4-0,5)<sup>29</sup>.

ის წყობები, რითაც თაღები ამოიქოლა და ნიშები შეიქმნა ინტერიერში, სხვადასვა ზომის „ანაკრეფი“ აგურითაა შედგენილი. ასეთივე სურათი ჩანს იმ წყობაშიც, რომელმაც გარედან მოაპირკეთა „ათეშგა“ (ილ. 60). რიზალიტებში, კი მხოლოდ ერთი სახის აგური გვხვდება (0,20 X 0,20 X 0,04 სმ). გვიანფეოდალურ ხანაში ამ ფორმატის აგურები ძალიან გავრცელებულია<sup>30</sup>. ისე კი, იგი, აგურის მონდოლურ სტანდარტად ითვლება<sup>31</sup>.

<sup>26</sup> აგურთა სტანდარტებისათვის ანალოგიების მოძიება, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, თითქმის შეუძლებელია. მკვლევარები რატომღაც „ამრგვალებენ“ ზომებს პლიუს-მინუს 1 ან 2 სმ-ის ფარგლებში. ძველი სამყაროს სტანდარტების „დამრგვალება“ თანამედროვე მეტროლოგიის მიხედვით, კვლევებისათვის დიდ უხერხულობას ქმნის.

<sup>27</sup> მაგ. ე. წ. მდინარისპირა ეკლესიაში, არემის ბაზილიკაში და სხვ. იხ. ლ. ჭილაშვილი. არემი. თბ. 1991. გვ. 21 და სხვ.

<sup>28</sup> R. Naumann. Takht\_ I. Suleiman. Bericht über die Ausgrabungen 1965\_1973. AA. 1975 H1. იხ. ჭრილები სურ. 14B და სურ. 15

<sup>29</sup> აგურები ზომებით \_ 24 ხ 24 და 25 ხ 25 დასატურებული აქვს ვ. ცინცაძეს თბილისის ადრეულ ფენებში (VIII საუკუნე). იხ. В. Цинцадзе. Тбилиси, გვ. 42

<sup>30</sup> იხ. ჯ. ჯღამაია. სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბ. 1980. გვ. 80\_85.

<sup>31</sup> R. Naumann. AA. 1975 H1. გვ. 135

სამშენებლო ფენათა დეფინიციის შედეგად აღმოჩნდება, რომ თავდაპირველი (აქ, რა თქმა უნდა, წარმართული ფენა არ იგულისხმება) ნაგებობა, ჩაჰარ-კაპუ-ა (Chāhār-Qapu), რაც ოთხკარას ნიშნავს (Chahar – ოთხი და Qapu – კარი), განსხვავებით „ჩაჰარ-ტაგი“-საგან (Chāhār-tāg), რაც შესაბამისად ოთხთაღას აღნიშნავს, თუმცა ჩაჰარკაპუშიც ცენტრალურ არეებში შექმნილი ღიობებიც თაღოვანებია. ტერმინები იმისდა მიხედვით შეიქმნა, თუ, რა დონით დომინირებს თაღოვანი ღიობი, თორემ გეგმარებითი სქემის მიხედვით ჩაჰარკაპუ და ჩაჰარტაგი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება (ეს სტრუქტურა ბერძნული ტერმინითაც შეიძლება რომ გამოიხატოს – tetrapylon), და არც მათ არქიტექტურულ განვითარებას ეტყობა რაიმე მკვეთრი წიაღსვლები<sup>32</sup>.

სასანიდებმა, ამ ცეცხლის ქურუმთა კასტიდან გამოსულმა დინასტიებმა, თავიანთი როლი თავიდანვე განსაზღვრეს და განაცხადეს: ისინი არიან გენეტიკური, პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეები აქემენიდებისა<sup>33</sup>, მიუხედავად იმისა, რომ აქემენიდთა დინასტიის ბოლო მეფესა, და პირველი სასანიდის ტახტზე ასვლას შორის, სულ ცოტა 555 წელია. სასანიდები ემკვიდრებიან მსოფლიო იმპერიას და იწყებენ იმპერიის „აკრეფისა“, და მასზე დაფუძნების პროცესს.

აღორძინებად იმპერიას კი, ერთიანი და „მეომარი“ რელიგია სჭირდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ზოროასტრიზმი თავისი საწყისი ბუნებით, სულაც არაა მიდრეკილი ამ როლისათვის, სასანიდებმა მაინც მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება და მოახდინეს ამ რელიგიის კოდიფიცირება. ამის შემდეგ კი, დაიწყო მისი სისტემური დამკვიდრების პროცესი „ირანსა და არაირანში“<sup>34</sup>.

რელიგიური დოქტრინის ორგანიზაციას, საკულტო არქიტექტურის კანონიკუ-რობაც თან სდევს, და ჩაჰარტაგი (და ჩაჰარკაპუ), ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათებით<sup>35</sup>, როგორც საყოველთაო მოდელი, იქცა ზოროასტრული ცერემონიებისა და რიტუალების აღსრულებისათვის განკუთვნილ ძირითად სივრცობრივ ერთეულად.

სასანური ცეცხლის ტაძრების გარშემო, სამეცნიერო ლიტერატურაში, აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა. გამოითქვა მოსაზრებები, რომ, რადგან ზოროასტრიზმი სასანიდებმა, სახელმწიფო, მებრძოლ რელიგიად აქციეს, შეიცვლებოდა თვით ცეცხლის დოქტრინაც და ამ რელიგიის ადრეული მოთხოვნა, გამიზნული იმისაკენ, რომ წმიდა ცეცხლის ხილვა შესძლებოდა მხოლოდ მას, ვინც ბოლომდე იყო განწმენდილი, და რომ გარეშემყოფთათვის ცელა, სადაც წმინდა ცეცხლი

---

<sup>32</sup> იხ. D. Huff. Čahártāq. EI. V. IV. F. 6 გვ. 634\_638.

<sup>33</sup> В. Г. Луконин. Культура сасанидского Ирана. М. 1969. გვ. 31\_33.

<sup>34</sup> В. Г. Луконин. Культура... გვ. 86. 88.

<sup>35</sup> არ არსებობს საფუძველი საიმისოდ, რომ ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათის წარმოშობა ჯერ კიდევ პართულ პერიოდში ვივარაუდოთ. ეს არქიტექტურული თემა, როგორც ამას კ. შიპმანი ამტკიცებს, მთლიანად სასანური პროდუქტია. იხ. Kl. Schippmann. Die iranischen Feuerheiligtümer, Berlin. New York, 1971. გვ. 499\_502; გვ. 499\_502; ამავე აზრს იზიარებს დ. შლუმბერჯე. იხ. Д. Шлюмберже. Эллинизированный Восток. М. 1985. გვ. 181.

გიზგიზებდა, დაფარული უნდა ყოფილიყო<sup>36</sup>, თითქოსდა შეიცვალა. ცეცხლი ყველასათვის ხილული შეიქმნა. მისი სამყოფელი ხომ თითქოსდა ოთხივე მხრიდან თაღებით გახსნილი კოსკია (ჩაჰარტაგი, ან ჩაჰარკაპუ)<sup>37</sup>.

გამოითქვა ასეთი მოსაზრება: შესაძლოა ყოველმხრივ ღია ჩაჰარტაგებში ანთებული ცეცხლი, რაღაც საკულტო-ცერემონიალური სიგნალის როლს ასრულებდა<sup>38</sup> და ა. შ.

ამგვარი მოსაზრებანი<sup>39</sup>, ალბათ იმან განაპირობა, რომ ჩანდა მხოლოდ ოთხი პილონი, და ეხლაც უმეტესად მხოლოდ ოთხი პილონი ჩანს, და ზოგჯერ მათზე დაყრდნობილი გუმბათიც, მაგრამ აღარ იკითხება გარშემოსავლელთა ჩაქცეული და მიწით დაფარული კედლები, რომლებიც ცეცხლისადმი თვალთახედვას ფარავდა<sup>40</sup>. კ. შიჰმანის მიხედვით 41 ჩაჰარტაგიდან, მათი მხოლოდ 19 გარსშემოსავლელია არქეოლოგიურად დადასტურებული<sup>41</sup>.

ამჟამად ირანული ზოროასტრული ცეცხლის ტაძრის განვითარების „გენეტიკური“ გზა, აქემენიდური პერიოდიდან (დაჰან-ი გულამანი<sup>42</sup>, სუზის „აიადანა“(?)), სასანურ ტაძრებამდე, თითქოსდა რელიგიურ ტოქტრინაში მომხდარი ცვლილებების პარალელურად, გაზიარებული აღარაა<sup>43</sup>.

ცეცხლის დოქტრინა ირანში უცვლელი დარჩა ზოროასტრიზმის კოდიფიკაციის მიუხედავად და გარსშემოსავლელიც<sup>44</sup>, ყველა ზოროასტრული ცეცხლისათვის აუცილებელი იყო<sup>45</sup>. ის

<sup>36</sup> იხ. J. Duchene \_ Guillemin, Fire in Iran and in Greece. EW (NS). V. 13. #2-3. გვ. 2003.

<sup>37</sup> იხ. K. Erdmann, Das Iranische Feuerheiligtum. Lpz. 1941. გვ. 34.

<sup>38</sup> A. Godard, Les monuments du feu. Athar-é Iran. T. III. 1938. გვ. 7 და შმდ.

<sup>39</sup> ეს მოსაზრებანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა სემეცნიერო ლიტერატურაში იხ. В. Л. Воронина. Архитектура сасанидского периода. ВИА з. 1970. გვ. 341; Г. А. Кошеленко. Культура Парфии. М. 1966. გვ. 20-21 და გვ. 216; მისივე, Родина Парфян. М. 1977. გვ. 55-56

<sup>40</sup> ზემოთ მოხსენებულ მოსაზრებათა კრიტიკა იხ. D. Huff, Das Imamzadeh Sayyid Husain und E. Herzfelds Theorie über den Sasanidischen Feuertempel. St. I. T. 11. 1982. გვ. 197 და შმდ.

<sup>41</sup> Kl. Schippmann. Die iranischen Feuerheiligtümer, Berlin. New-York, 1971. გვ. 506.

<sup>42</sup> დაჰან-გულამანის შესახებ იხ. ანგარიშები N. Scerrato, Excavations at Dahan –i Ghulaman (Seistan-Iran) First Preliminary Report (1962-1963) EW (NS) V.16. 1968. #1-2

<sup>43</sup> ცეცხლის ტაძრების სახესხვაობათა შესახებ, მოხმობილი ლიტერატურის გარადა იხ. U. M. de Villard, The Fire Temples, BAIPAA. v.V #4, 1936 გვ. 176 და შმდ.; D. Stronach, The Evolution of the Early Iranian Fire Temple. AI. 25, 1985. გვ. 606 და შმდ.; კონკრეტულად სასანური ტაძრების შესახებ იხ. I. Iamamoto, The Zoroastrian Temple Cult of Fire in Archaeology and Literature. „Orient”. v. XVII, 1981. გვ. 67 და შმდ

<sup>44</sup> გარსშემოსავლელები, რაც ცერემონიალური სვლებისათვის იყო განკუთვნილი, ცეცხლის ტაძრების ერთ-ერთ ყველაზე მეტად დამახასიათებელ ელემენტადაა მიჩნეული. იხ. В. Л. Воронина. Доисламские культовые сооружения средней Азии. СА. 1960. # 2. გვ.52-53.

<sup>45</sup> W. Kleiss, Kleinere Kuppelbauten in Iran, AMI (NF). B. 10. 1977. გვ. 232; მისივე Kupel \_ und Rundbauten aus sasanidischer und islamischer zeit in Iran, AMI. B. 11. 197 გვ. 157-158.



აზრიცაა გამოთქმული, რომ თუ ჩაჰარ-ტაგი გარსშემოსავლელს არ შეიცავს (ე. ი. არაფრით არ დასტურდება), მაშინ ის, სულაც არაა ზოროასტრული ტაძარი, არამედ ელემენტარული პავილონია<sup>46</sup>.

თბილისის „ათეშგა“-ს შემთხვევაში კი გარსშემოსავლელის არსებობა ნამდვილად სავარაუდოა, თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე ნიშანს: 1 \_ ათეშგა აღმართული იყო აგურის ფართე და ნიველირებულ ტერასაზე. 2 \_ ტერასისა (რაც ეხლა ერთი შეხედვით ცოკოლის შთაბეჭდილებას ტოვებს), და ათეშგას კედლებს შორის არსებობს ქვიშაქვის ფენილი, რასაც კონსტრუქციული მიზანი ვერ ექნებოდა. (როგორც ზემოთაც აღვნიშნე, აგურის მთლიანი სტრუქტურა რაიმე შუალედურ „სუბსტრუქციებს“ არ საჭიროებს). ასე რომ, ეს ნაშთი, თხელი ქვაფენილისა, გარსშემოსავლელის იატაკია, ან მხოლოდ ჩრდილოეთის პორტიკოსისა. „ათეშგას“ მდებარეობა იმას მიგვანიშნებს, რომ მას, ძირითადი, საზეიმო კარი, ჩრდილოეთიდან უნდა ჰქონოდა). და კიდევ ერთი \_ 3 \_ უკვე აღინიშნა ათეშგას კედლების ზედა ნაწილების ტენდენცია, მათი გარეთ გადახრილობანი, რაც მხოლოდ კამარათა არსებობის დადასტურება შეიძლება, რომ იყოს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ „ათეშგა“-ს ტრომპებიც შერჩა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში, რაც თავისთავად გუმბათის რვასექტორიანობაზე მიგვანიშნებს<sup>47</sup>, და მის „კვერცხისებურ“ ფორმაზეც (ილ. 65, 66, 68). აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: ის გუმბათი, რომელიც გრ. გაგარინის ნახატზე აისახა, ფორმითაც და სტრუქტურითაც გვიანსასანური \_ ადრეისლამური გუმბათია<sup>48</sup>, რაც იმას მიანიშნებს, რომ „ათეშგას“ განადგურების, ანუ გუმბათის ჩაქცევის შემდგომ, იგი საკმაოდ სწრაფადვე აღუდგენიათ.

„ათეშგას“ ძირითადი და თავდაპირველი „ჩონჩხის“ ზომებია: შიდა კვადრატი 5,6 მ-ია, ანუ 17 ირანული ტერფი, ხოლო გარე კვადრატის გვერდი 7,7 მ, დაახლოებით 23 ტერფს უტოლდება. კედლის სიგანე ოთხი აგურისაგან შედგებოდა და 1,05 მ-ს აღწევს (აქ აგურებსშორისი შევსებებიცაა საგულისხმო) და 3 ტერფს შეესაბამება. თაღების სიგანე, კი 2,7 მ-ი, ზუსტად 8 ტერფის ტოლია<sup>49</sup>.

გარდა იმისა, რომ აქ ირანული ტერფი სრულიად ცხადად მონაწილეობს, სამშენებლო ტექნოლოგიაც, ასევე ირანულია: ვგულისხმობ ნაგებობათათვის წინასწარ, დიდი და

---

<sup>46</sup> W. Kleiss. Kupel \_ und Rundbauten aus... გვ. 157-158.

<sup>47</sup> სასანური გუმბათის რვასექტორიანი სისტემის შესახებ იხ. And. Godar. L'Art de L'iran, Pl. 157\_161; აგურით გასრულებულ ტრომპებზე დაფუძნებული სასანური გუმბათის შესახებ იხ. \_ O. Reuter, Sasanian Architecture, SPA. (Art. Uph. Pope., Ph. Ackerman) V. II. 1967. გვ. 500\_502.

<sup>48</sup> Ог. Шуази, История Архитектуры. II. М. 1937. გვ. 101.

<sup>49</sup> ირანული წყრთისა და ტერფის შესახებ იხ. Ог. Шуази, История Архитектуры. Т. Первый. М. 1935. გვ. 125; აგრეთვე С. Babin, Note sur la Métrologie et les Proportions dans les Monyment Achéménides de la Perse. RA. t. XVII. 1891. გვ. 347 და შმდ.

ნიველირებული ტერასების შექმნის ხელოვნებას, რომელიც მათ, როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, ურარტული სამყაროდან შეითვისეს და მათზე არც სასანურ ხანაში უთქვამთ უარი<sup>50</sup>.

ოდესღაც ამოიქოლა თაღები, გაფორმდა აღმოსავლეთის ფასადი, სასანური მხატვრული სტილით (რაც მიგვანიშნებს იმას, რომ ათეშგას განადგურებასა, და მის მეჩეთად გადაქცევას შორის, ძალიან ხანმოკლე პერიოდი), შეიქმნა მიჰრაბი და ათეშგა მეჩეთად იქცა. ჩვეულებრივ, მხოლოდ ასე, მარტივი მოქმედებებით იცვლიდა ათეშგა თავის რელიგიურ ფუნქციას (ილ. 70, 71)<sup>51</sup>. ვფიქრობ, რომ მეჩეთად ათეშგა VIII საუკუნეშივე უნდა გადაქცეულიყო. აგურები, რითაც თაღები იქოლება ანაკრეფია და მათი მკაცრი სტანდარტი არ დგინდება. ბუნებრივია ვიფიქროთ ის, რომ ისინი დანგრეულ სტრუქტურებშია მოძიებული.

რაც შეეხება „ათეშგას“ გარე გარსსა და რიზალიტებს, იგი გვიან-შუასაუკუნეების „ადვაზმულობა“ უნდა იყოს (გარდა აღმოსავლეთის ფასადისა), თუმცა ეტაპობრივად შექმნილი. როგორც აღინიშნა რიზალიტებში გამოყენებული აგურები (0,20 X 0,20 სმ), მონღოლური სტანდარტია და საქართველოში იგი გვიანშუასაუკუნეებზე ადრე არ გვხვდება<sup>52</sup>.

სულ სხვა საკითხია ის, თუ როდის დაფუძნდა ზოროასტრული ტაძარი თბილისში.

სარგის კაკაბაძე თვლის, რომ „ათეშგა“ ვახტანგ გორგასლის მეფობაშივე უნდა აგებულიყო<sup>53</sup>, მაგრამ არც მისი ისტორია და არც მისი ქმედებების იმ თანმიმდევრობაში, რაც თბილისის დაგეგმარების პროცესს ასხავს, ასეთი რამ არ იგულისხმება. ვახტანგ გორგასლის მიერ უზნებად დაკვალებულ ქალაქში, 5 ეკლესიის სახით, დომინანტები განაწილდა: ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (სიონი), კალას დაბლობში, მეტეხი (ბერძ. ΜΕΤ\_ΟΧΗ) მიძღვნილი ღვთისმშობლის ოდიგიტრიისადმი და ქართლის კათალიკოსთა მეტოქე<sup>54</sup>, ნისანში (ისანი, ისნი) გაბატონებული ცენტრი, და გარდა ამისა, წმიდა ჯვრის-გოლგოთისა, ბეთლემისა და მიქაელ მთავარანგელოზისა<sup>55</sup>.

ბეთლემი ნამდვილი დომინანტია კალას კლდოვან გარემოში, და მის გვერდით მეორე დომინანტის, ათეშგას ადგილი, როგორ უნდა განსაზღვრულიყო მომავალი დედაქალაქის გეგმაში? ვახტანგ გორგასლის დროს, ხომ მხოლოდ იწყება ქალაქის განაშენიანება.

დასაწყის ეტაპზევე, ზოროასტრული ტაძრით ქალაქის ყველაზე მძლავრი უზნის აღნიშვნა, ნაკლებ სავარაუდო მგონია. ამას გარდა, აგურის უზარმაზარი და მაღალი ტერასის შექმნისათვის (რაც ძველი ირანული ტრადიციაა), სპარსთა აქ დამკვიდრება და ფეხმოკიდება იქნებოდა საჭირო. ვახტანგ გორგასლის მეფობაში, კი ასეთი რამ, სრულიად წარმოუდგენელია.

<sup>50</sup> W. Kleiss, Terrassenanlagen in der iranischen Architektur AMIT. 30. 1998. გვ. 227 და შმდ.

<sup>51</sup> ასევეა ათეშგა გარდაქმნილი მეჩეთად თურანგ თეფეში. იხ. D. Huff, Architecture sassanide. SS. 1993. გვ. 51; იხ. აგრეთვე მეჩეთად გარდაქმნილი ათეშგა იაზდ-ი ჰასტ-ში. Kl. Schippmann. Die iranische .. გვ. 210-21 და მრ. სხვ.

<sup>52</sup> ჯ. ჯღამაია. სამშენებლო კერამიკა... გვ. 80\_85.

<sup>53</sup> ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი... გვ. 230-231.

<sup>54</sup> Пл. Иоселиани. Описание... გვ. 23

<sup>55</sup> Пл. Иоселиани. Описание... იქვე.

ის პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როცა სპარსი, მძლავრად ფეხმოკიდებულია ქართლში, სტეფანოს I ერისმთავრობის დროა (590\_605 წწ.). მისი მმართველობის დასაწყისი ქართლში, ხოსრო II-ის გამეფებასაც ემთხვევა ირანში. სტეფანოზ I, კი არის: „ურწმუნო და უშიში ღმრთისა“<sup>56</sup>, ანუ გულგრილი ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ. იგი მტკიცედ დგას სპარსებისადმი ერთგულებაზე. ე. ი. მისი პოლიტიკური და შესაბამისად რელიგიური ორიენტაცია ირანული, ანუ სასანურია. მოგვიანებით კი, თბილისი იმ პუნქტად იქცა, სადაც მსოფლიო ჰეგემონობისათვის ბიზანტიის იმპერია თავის მოკავშირესთან, ხაზართა ხაკანატთან ერთად, სასანიდური ირანის სამხედრო ძალას შეეჯახა. თბილისი ორივე მხრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის სტრატეგიული არეა ამიერკავკასიაში ბატონობისათვის. ქართულ და სომხურ წყაროებში დრამატიზმით აღსავსე ისტორიაა მოთხრობილი თბილისის გამირული თავდაცვისა, რომელსაც ქართველი მთავარი ვარსამუსე (ალბათ, ქართველ მთავართა სახლის წევრი) და ირანელი სარდალი შარვაპაგი მეთაურობდა. თბილისის პირველი, ორთვიანი ალყა, ბიზანტიისა და მისი მოკავშირე ხაკანატის დამარცხებით დასრულდა, ხოლო მეორე კი, 628 წლის გაზაფხულზე, თბილისის აღებით, ქალაქის მცველი სარდლების წამებით სიკვდილითა და ზოროასტრელების, წარმართების, მონოფიზიტების განადგურებით დამთავრდა<sup>57</sup>. ათემგას ფუნქციონირებაც ამავე 628 წელს შეწყდებოდა.

ბიზანტია-სპარსეთის ამ ომში ბიზანტიამ გაიმარჯვა და სწორედ მისი ეს წარმატება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ უაღრესად დასუსტებულმა ირანმა, თითქმის ვერანაირი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია არაბთა კარგად ორგანიზებულ სამხედრო შენაერთებსა და „ისლამს“, ანუ მინდობილთა მონოთეისტურ რელიგიურ დოქტრინას. ის ჰერაკლე კეისარი, რომელმაც ირანი დაამარცხა და თბილისში სისხლის ზღვა დააყენა – „ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს“<sup>58</sup>, მარცხს, მარცხზე განიცდიდა არაბების წინააღმდეგ ომებში. ირანის დამხობის მერე, კი არაბების წინ, თავისუფალი გზა იდო ამიერკავკასიისაკენ.

თუ არაბების ამიერკავკასიაში ფეხისმოკიდების ადრეული პერიოდი უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, ძირითადად მათი შემწყნარებლური სარწმუნოებრივი პოლიტიკისა და მსუბუქი საგადასახადო სისტემის გამო<sup>59</sup>, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა VIII ს-ის მეორე ნახევრიდან. მარვან II იბნ მუჰამედის („მურვან ყრუ“) საქართველოში გამანადგურებელი ლაშქრობები, საფუძველს უდებს თბილისში მუსულმანური ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას. სხვა მოხელეთა შორის ცნობილია „მუჰთასიბი“, რომელიც რელიგიური დოქტრინის დაცვას აკონტროლებდა, და „რესი“, რომელიც კონკრეტულად მაჰმადიანური მოსახლეობის ინტერესებს

<sup>56</sup> „ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არა ჰმსახურა ღმერს, არცა ჰმატა სჯულსა“. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955. გვ. 222.

<sup>57</sup> ა. ბოგვერაძე. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში ს.ი.ნ. ტ. II. 1973. გვ. 279\_283; თბილისის აღებისა და აოხრების შესახებ იხ. აგრეთვე ამონარიდები სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებიდან წიგნში: ვ. ს. ნალბანდიანი. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. თბ. 1959. გვ. 36\_46.

<sup>58</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I. თბ. 1963. გვ. 96.

<sup>59</sup> ა. ბოგვერაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 285-286.

იცავდა ამირას კარზე<sup>60</sup>. ასეთ პირობებში თბილისში მეჩეთები წამოიმართებოდა და რაც მთავარია, „ათეშგასაც“ არავინ დასტოვებდა ნანგრევების სახით. მისი ნანგრევებიც, კი ხსოვნას გააცოცხლებდა ზოროასტრიზმზე, ახლო წარსულში, აღმოსავლეთში დომინირებულ რელიგიაზე. მისი, გრ. გაგარინის ნახატზე ასახული გუმბათიც, ამის მაჩვენებელია. ადრეისლამური გუმბათი, მისი წინამორბედი, გვიანსასანური გუმბათის ფორმას იმეორებს და სხვა რამ, ამ მხრივ, ისლამმა, ამ დროისათვის არც იცის, მისი არქიტექტურული კონცეფცია ჯერ ჩამოუყალიბებელია.

თბილისის „ათეშგა“, თავისი პროპორციებით, კასრ-ი შირინის „ჩაჰარ-კაკუ“-ს სამჯერ შემცირებული მოდელია (ილ. 68, 69)<sup>61</sup>. ეს ძეგლი ერთ-ერთი ბოლო ზოროასტრული ტაძარია ირანის სასანური იმპერიის საზღვრებში (ქურდისტანი). აქ უკვე აგურს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნაგებობის საკვანძო ადგილებში. თბილისის ათეშგა მე, მის დამცრობილ მოდელად მესახება, კიდევ უფრო მოგვიანო ზოროასტრულ სამლოცველოდ, თუ არა უკანასკნელად სასინიდების მმართველობაში. ამ ძეგლმა შეინარჩუნა თავისი ადრეული ფუნქციონალური სახელები, რაც ბუნებრივია, იმიტომ რომ, იგი ძველი თბილისის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე იდგა. ბიზანტიელებს, იმპერატორ ჰერეკლესა და ხაზარებს, ჯიბლუსა და მის ვაჟს შათის, სწორედ კალას აღება გაუჭირდათ, და არა დანარჩენი თბილისისა<sup>62</sup>.

ამიერკავკასიაში, მის ცალკეულ პუნქტებში „ათეშგები“, არც თუ მცირე იქნებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ფიგურირებს სურახანის (ბაქოს მახლობლად) ათეშგა, როგორც ცეცხლთაყვანისმცემელთა სამლოცველო (იხ. ილ. 58, 59)<sup>63</sup>. ამას გარდა უნდა აღვნიშნო, რომ ე. წ. ჭერემის კვადრატი თავისი სქემით, ასევე ჩაჰარ-ტაგია და რა იყო მისი თავდაპირველი ფუნქცია, ამას მხოლოდ არქეოლოგიური შესწავლა განსაზღვრავს<sup>64</sup>. ი. გაგომიძე მსგავს ნაგებობებს საქართველოს სხვა პუნქტებშიც ადასტურებს<sup>65</sup>, დაბოლოს გრ. გაგარინი, თბილისის მიდამოებში, ბოტანიკურ ბაღში (ლელვთა ხევი), ერთ გუმბათოვან, ჩაჰარ-ტაგის მსგავსი ნაგებობის ნახატსაც აქვეყნებს ლანდშაპთან ერთად (ილ. 57)<sup>66</sup>.

<sup>60</sup> მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. მსკი. 30. 1954. გვ. 143 და შმდ.

<sup>61</sup> კასრ-ი შირინის „ჩაჰარ-კაკუ“-ს გარე ზომები, როიტერის მიხედვით მოცმულია, როგორც 25 x 25 მ-ი. მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებულ გეგმას, თუ მასშტაბს შევუფარდებთ, გარე კვადრატის გვერდი 24 მ-ს არ სცილდება. ფონ ბელისა და ვანდერბეგის მიხედვით კი, გარე კვადრატის გვერდის ზომა 24,6 მ-ია. იხ. Kl. Schippmann, Die iranische გვ. 288;

<sup>62</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირელი. თბილის. 1951. გვ. 265\_269.

<sup>63</sup> იხ. And. Godard, Les monuments... გვ. 43; ჯერჯერობით არა მგონია გარკვეული იყოს მისი აგების ზუსტი თარიღი, მიუხედავად იმისა, რომ გეგმით იგი ტიპიური ჩაჰარ-ტაგია, და არც ისაა გარკვეული, მისი ცეცხლის კულტი რამდენადაა ზოროასტრული. მისი ასახულობა გრ. გაგარინსაც აქვს მოცემული თავის ალბომში (Gr. Gagarine... Pl. XLIV), აქ ილ. 59. დაწვრ. იხ. М. Усейнов, А. Бретаницкий, А. Саламзаде. История Архитектуры Азербайджана. М. 1963. გვ. 310; М. Усейнов. Памятники азербайджанского зодчества. М. 1951. გვ. 51\_53; С. Б. Ащурбейли. Об истории Сураханского храма огнепоклонников. ПАА. 1946. გვ. 41\_54.

<sup>64</sup> იხ. გ. ყიფიანი. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ. 2000. გვ. 87.

<sup>65</sup> Ю. М. Гагошидзе. Дохристианские храмы Грузии. МСТИ-IV. 1983. გვ. 7.

<sup>66</sup> Gr. Gagarine. Pl. XXVII

თბილისის „ათეშგა“ (იხ. რეკონსტრუქცია, ილ. 61, 74, 75), უაღრესად საყურადღებო ისტორიული ძეგლია (გარდა იმისა, რომ იგი არქიტექტურული ძეგლიცაა და არქეოლოგიურიც). იგი ორგანული წარმონაქმნია ამიერკავკასიაში მომხდარი პოლიტიკური პროცესებისა. მისი დაბადება, განადგურება, აღდგენა და გარდაქმნა, სწორედ ამ მოვლენების თანამდევია. სასანური ზორასტრული ტაძრების ნუსხაში მას მოკრძალებული ადგილი ეკუთვნის თავისი გაბარიტის გამო, თუმცა, მაგ. კაზერუნის ჩაპარ-ტაგს აღემატება კიდეც. (ილ. 69, – სასანური ცეცხლის ტაძრები ა. გოდარის მიხედვით და ჩემი დანამატი მასზე: თბილისის „ათეშგა“)<sup>67</sup>.

მისი თბილისში წარმოქმნა, ცხადია ვერ მიეწერება მოქალაქეთა ტოლერანტული ბუნების დამსახურებას. იგი „მებრძოლი“ რელიგიის მიერ დაფუძნებული საკულტო ცენტრია, ქრისტიანული აღმოსავლეთის უძველეს რეგიონში. ასეა თუ ისე, თავისი გეოპოლიტიკური, თუ მარტო გეოგრაფიული გარემოთი, თბილისი, ამ კონკრეტულ პერიოდშიც, VII-VIII საუკუნეებშიც, კულტურათა, პოლიტიკურ მისწრაფებათა, სამხედრო თუ რელიგიურ დაპირისპირებათა გადამკვეთ პუნქტად ისახება. არქიტექტურული ძეგლის „ცხოვრება“, მითუმეტეს თუ ის საკულტოა, ყოველთვის ზუსტად ასახავს იმავე ქვეყნის ცხოვრებას, სადაც ის წარმოიშვა.

ორი დიდი იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური, და ამავე დროს ძნელადდასათმობი ინტერესები, VII-VIII საუკუნეებშიც, რატომღაც მაინცდამაინც საქართველოში უნდა გარკვეულიყო.

*P. S. სტატია თითქმის მზად მქონდა რედაქციაში გადასაცემად, როცა ძეგლის საკონსერვაციო სამუშაოები განახლდა და გამოიკვეთა ის, რამ ათეშგას კართა ღიობების გვერდები ნახევარსვეტებს შეიცავდა (ილ. 72, 73). ასეთი რომ თითქოსდა ჩანდა დასავლეთის ღიობის პილონებზე (ილ. 22), ახლა, კი აღმოსავლეთის კარშიც სრული უეჭველობით გამოიკვეთა და ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოთხივე ღიობი ერთნაირად იყო გაფორმებული. ეს ფაქტი კიდეც უფრო ამყარებს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ თარიღს, რადგან ასეთი მოვლენა ძირითადად გვიანსასანურ პერიოდს ახასიათებს, მაგალითისათვის VI-VII სს-ის ჩაპარტაგიც საკმარისია ათეშკუპიდან<sup>68</sup>.*

გურამ ყიფიანი

<sup>67</sup> And. Godard, les monuments... Fig. 1.

<sup>68</sup> იხ. Kl. Schippmann. Die iranischen Feuerheiligtümer, Berlin. New-York, 1971. გვ. 430\_536.

## ილუსტრაციების აღწერილობა

- ილ. 1. „დედა ციხე“ და კალას უბანი. ფრაგმენტი ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმიდან.
- ილ. 2. კალას კლდოვანი უბანი (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით).
- ილ. 3. „ათეშგა“, გეგმა (ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით).
- ილ. 4. „ათეშგა“, განაკვეთი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით).
- ილ. 5. „ათეშგა“, გეგმა (გ. ყიფიანი). a \_ პლატფორმის შიდა სივრცეში შემოჭრილი წყობა, b \_ პლატფორმის ნაშთები, c \_ იატაკის ფრაგმენტი, d \_ კლდეში ჩაკვეთილი ღრმული.
- ილ. 6. „ათეშგა“, განაკვეთი (სქემა) დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. c \_ იატაკის დონე, d \_ კლდეში ჩაკვეთილი ღრმული, e \_ პლატფორმის გარე დონე (გ. ყიფიანი).
- ილ. 7. „ათეშგა“-ს ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
- ილ. 8. „ათეშგა“-ს ჩრდილოეთის მხრის ქვედა სტრუქტურა, პლატფორმის ფრაგმენტი, ქვიშაქვის ფენილი.
- ილ. 9. „ათეშგა“-ს დასავლეთი ფასადი.
- ილ. 10. „ათეშგა“-ს დასავლეთის ფასადის დეკორატიული თაღი.
- ილ. 11. აღმოსავლეთის ფასადი (ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით).
- ილ. 12. ინტერიერი. სამხრეთის მხარე, მიჰრაბი.
- ილ. 13. „ათეშგა“ \_ ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან, კალას კლდოვანი ქედიდან.
- ილ. 14. ინტერიერი, აღმოსავლეთი კედელი (ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით).
- ილ. 15. ინტერიერი. აღმოსავლეთის კედელი, ავტორის სქემატური ნახაზი კორექტივებით.
- ილ. 16. ინტერიერი, დასავლეთის კედელი (ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით).
- ილ. 17. ინტერიერი, სამხრეთის მხარე (ლ. ბოკუჩავასა და ნ. ცინცაბაძის მიხედვით).
- ილ. 18. ინტერიერი, სამხრეთის კედლის სქემა (გ. ყიფიანის კორექტივით). c \_ იატაკის დონე.
- ილ. 19. ინტერიერი, „ათეშგა“-ს ქვედა სტრუქტურა, დასავლეთის მხარე.
- ილ. 20. ათეშგას იატაკის შემორჩენილი ფრაგმენტი.

- ილ. 21. დასავლეთის ფასადის ცენტრალური რიზალიტი.
- ილ. 22. ინტერიერი, დასავლეთის კედლისა და თაღის შევსების ფრაგმენტი.
- ილ. 23. „ათეშგას“ „სუბსტრუქციის“ ჩრდილო-დასავლეთის კუთხე.
- ილ. 24. აგურის პლატფორმის (ტერასის) ფრაგმენტი.
- ილ. 25. პლატფორმის ფრაგმენტი, ქვიშაქვის ფენელი პლატფორმასა და „ათეშგა“-ს შორის.
- ილ. 26. ინტერიერი, ჩრდილოეთის ნიშა ანუ ამოგმანული თაღი.
- ილ. 27. ინტერიერის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე \_ გვიანდელი რემონტის კვალი.
- ილ. 28. ინტერიერი. აღმოსავლეთის მხარე. ორმაგლუნეტიანი კარის ღიობი.
- ილ. 29. ინტერიერი \_ დასავლეთის ამოგმანული თაღი.
- ილ. 30. ინტერიერი, სამხრეთის მხარე, მიჰრაბი.
- ილ. 31. წარმართული სტრუქტურის კვალი, კლდეში ჩაკვეთილი ღრმული, ათეშგამდელი პერიოდი.
- ილ. 32. კლდეში ჩაკვეთილი ღრმული, ანაზომი (გ. ყიფიანი).
- ილ. 33. ათეშგას სამხრეთ-აღმოსავლეთი ტრომპი.
- ილ. 34. ათეშგას სამხრეთ-დასავლეთი კუთხე.
- ილ. 35. თბილისის ციტადელის სამხრეთ-დასავლეთის კოშკი, დაფუძნებული ადრეული ტერასის ნაშთზე.
- ილ. 36. ტერასის კვალი ციტადელის სამხრეთ-დასავლეთის კოშკის ძირში.
- ილ. 37. კალას კლდოვანი უბანი (ბეთლემის უბანი), ხედი დასავლეთიდან.
- ილ. 38. ათეშგას ჩრდილოეთის კედლის ფრაგმენტი, სამრეკლო, ბეთლემი, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
- ილ. 39. შარდენის პანორამა, ფრაგმენტი \_ ბეთლემის უბანი.
- ილ. 40. ფრაგმენტი შარდენის პანორამიდან \_ I \_ ბეთლემი, P \_ ქარვასლა. მათ შორის კვერცხისებრგუმბათიანი ნაგებობა \_ „ათეშგა“ (A გ. ყ.).
- ილ. 41. შარდენი. პანორამა \_ ერთ-ერთი პოლიგრაფიული ვარიანტი.
- ილ. 42. პანორამის ფრაგმენტი \_ ბეთლემის უბანი.

ილ. 43. პანორამის ფრაგმენტი. P \_ ქარვასლა, I \_ ბეთლემი, მის მარცხნივ, ხევის კიდეზე „ათეშგა“ (A გ. ყ.).

ილ. 44. ტურნეფორი. პანორამის ფრაგმენტი. მარჯვნივ, ბეთლემის ტაძარი, მის მარცხნივ შესაძლოა „ათეშგა“ (A, გ. ყ.).

ილ. 45. ტურნეფორის პანორამა.

ილ. 46. გრ. გაგარინი, ბეთლემის უბანი. წინა პლანზე ბეთლემის ტაძრის საფეხურები, სამრეკლო, „ათეშგა“.

ილ. 47. ფრაგმენტი გრ. გაგარინის ნახატიდან \_ „ათეშგა“.

ილ. 48. „ათეშგა“ 1900 წლისათვის \_ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე.

ილ. 49. XIX ს-ის ფოტონაბეჭდი. A \_ „ათეშგა“, B \_ ბეთლემი, B1 \_ სამრეკლო, B2 \_ ქვედა ბეთლემი.

ილ. 50. თბილისის 1800 წელს შედგენილი გეგმის ფრაგმენტი. A \_ „ათეშგა“, B \_ ბეთლემი.

ილ. 51. თბილისის 1809 წელს შედგენილი გეგმის ფრაგმენტი. A \_ „ათეშგა“, B \_ ბეთლემი, B1 \_ სამრეკლო, B2 \_ ქვედა ბეთლემი.

ილ. 52. ფრაგმენტი ნ. ჩერნეცოვის პანორამიდან. A \_ „ათეშგა“, B1 \_ სამრეკლო, B \_ ბეთლემი.

ილ. 53. ბეთლემის უბნის ხედი ჩრდილოეთიდან.

ილ. 54. ფრაგმენტი თბილისის 1884 წელს შესრულებული გეგმიდან A \_ „ათეშგა“, B \_ ბეთლემი.

ილ. 55. ფრაგმენტი თბილისის აეროფოტოპოგრაფიული გეგმიდან. A \_ „ათეშგა“, B \_ ბეთლემი, B1 \_ სამრეკლო, B2 \_ ქვედა ბეთლემი.

ილ. 56. ბეთლემის უბნის განაშენიანება (სქემა). A \_ „ათეშგა“, B \_ ბეთლემი, B1 \_ სამრეკლო, B2 \_ ბეთლემის ქვედა ეკლესია.

ილ. 57. გრ. გაგარინის ნახატი. ბოტანიკური ბაღის მიდამოები, ცენტრალურ არეში ჩაჰარტაგის მსგავსი ნაგებობით.

ილ. 58. სურუხანის (ბაქოს მახლობლად) ათეშგა, თანამედროვე სახე.

ილ. 59. სურუხანი, ათეშგა. გრ. გაგარინის ნახატი.

ილ. 60. თბილისის „ათეშგა“, გეგმა სამშენებლო ფენების გამოყოფით: A \_ პლატფორმის წყობა, ნაგებია კვადრატული აგურით (24,5 x 24,5 x 0,5); B \_ იატაკი (25 x 25 x 0,5); C \_ „ათეშგას“ თავდაპირველი სტრუქტურა (24,5 x 24,5 x 0,5); D \_ აღმოსავლეთის ფასადი, შექმნილი „ათეშგას“ მეჩეთად გადაკეთების მიზნით. აგურის ზომებია \_ 24,5 x 24,5 x 0,5, მაგრამ აქ სხვა ზომის აგურებიცაა გამოყენებული; E \_ თაღთა შევსებანი, წყობა ანაკრეფი აგურითაა შედგენილი; F \_ „ათეშგას“ მეჩეთად ფუნქციონირებისას შექმნილი „შემოსილობა“, სხვადასხვა ზომის აგურები \_



მათ შორის \_ 23 x 23 x 0,4; გ \_ გვიანშუასაუკუნეების დანამატები (რიზალიტები) \_ აგურის ზომებია \_ 20 x 20 x 0,4; H \_ კარის გვიანდელი პილონები.

ილ. 61. „ათეშგა“, რეკონსტრუქცია, გეგმა.

ილ. 62. ჩაპარ-ტაკვი ნეისარში, ტრომპები და გუმბათი (ა. გოდარის მიხედვით).

ილ. 63. ნეისარის ჩაპარ-ტაკვი \_ ფასადი (ა. გოდარის მიხედვით).

ილ. 64. სარვისტანის სასახლის გუმბათი (ა. გოდარის მიხედვით).

ილ. 65. კვერცხისებური გუმბათისა და გარსშემოსავლელთა რეკონსტრუქცია \_ ქეირაბად ბალა (ვ. კლაისის მიხედვით).

ილ. 66. ჩაპარ-კაპუ ყალე დუქტარიდან \_ ფირუზაბადის მახლობლად (დ. ჰუფის მიხედვით).

ილ. 67. ჩაპარ-კაპუ ყალე დუქტარიდან \_ ფირუზაბადის მახლობლად (დ. ჰუფის მიხედვით).

ილ. 68. ჩაპარ-კაპუ კასრ-ი შირინიდან, რეკონსტრუქცია (ო. როიტერის მიხედვით).

ილ. 69. სასანური ცეცხლის ტაძრების კრებითი ტაბულა ა. გოდარის მიხედვით. ქვემოთ ამავე მასშტაბში \_ დანამატი \_ თბილისის „ათეშგა“.

ილ. 70. მეჩეთად გადაკეთებული ჩოპარ-ტაკვი თურანგ თეფეში (დ. ჰუფის მიხედვით).

ილ. 71. მეჩეთად გარდაქმნილი სასანური ცეცხლის ტაძარი იაზდ ჰასტში (კლ. შიპმანის მიხედვით).

ილ. 72. აღმოსავლეთის კარის ნახევარწრიული ნაშვერი.

ილ. 73. აღმოსავლეთის კარის ნახევარწრიული ნაშვერის ფრაგმენტი.

ილ. 74. ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი, რეკონსტრუქციის ცდა (გ. ყიფიანი).

ილ. 75. ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი, რეკონსტრუქციის ცდა, აქსონომეტრული ჩანახატი (გ. ყიფიანი).


## შემოკლებათა განმარტება

1. „კამარა“ \_ კამარა, ქართული არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბილისი.
2. მსკი \_ მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი.
3. სინ \_ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი.
4. **A.A.** \_ Archäologischer Anzeiger, Beiblatt zum Jahrbuch des Deutschen Archäologischen Instituts. Berlin.
5. **A.I.** \_ Acta Iranica. Leiden.
6. **AMI** \_ Archaeologische Mitteilungen aus Iran. Berlin.
7. **AMI (NF)** \_ Archaeologische Mitteilungen aus Iran. Neue Folge. Berlin.
8. **AMIT** \_ Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Berlin.
9. **Athār-é Īrān** \_ Annales du Service Archéologique de l'Īrān. Haarlem.
10. **EI** \_ Encyclopedia Iranica. London and New-York.
11. **EW(NS)** \_ East and West. New Series. Rome.
12. „**Orient**“ \_ Report of the Society for near Eastern Studie in Japan. Tokyo.
13. **RA** \_ Revue Archéologique. Paris.
14. **StI** \_ Studia Iranica. Leiden.
15. **SPA** \_ A Survey of Persian Art from Prehistoric Times to the Present. (Art. Uph. Pope. Ph Ackerman.) London, New-York.
16. **SS** \_ Splendeur des Sassanides. Bruxelles.
17. **АН** \_ Архитектурное Наследство. Москва.
18. **ВИА** \_ Всеобщая История Архитектуры. Москва.
19. **МСГИ - IV** \_ IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси.
20. **ПАА** \_ Памятники архитектуры Азербайджана. Москва-Баку.
21. **СА** \_ Советская археология. Москва.


ილუსტრაციები



2




1





N

3



4







7



8




9



10









12



13






15



14











19



20





21



22



23



24



25





26



27



28




29



30



31



32





33



34



35



36






37



38



39



40





- |  |  |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>1. A. B. C.</li> <li>2. D. E. F.</li> <li>3. G. H. I.</li> <li>4. J. K. L.</li> <li>5. M. N. O.</li> <li>6. P. Q. R.</li> <li>7. S. T. U.</li> <li>8. V. W. X.</li> <li>9. Y. Z.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>1. A. B. C.</li> <li>2. D. E. F.</li> <li>3. G. H. I.</li> <li>4. J. K. L.</li> <li>5. M. N. O.</li> <li>6. P. Q. R.</li> <li>7. S. T. U.</li> <li>8. V. W. X.</li> <li>9. Y. Z.</li> </ul> |
|--|--|




41



42



43




44





45




46




47



(A)



50



51





52




53

















58



59









62



63




64




0 5 10 M. W. 97

65




BAHN 22




66

0 5 10 M


67





68



69



70



71





72



73







## **Zoroastrian Temple of Old Tbilisi**

**Guram Kipiani**

**Ilia Chavchavadze State University**

**ICOMOS Georgia**

In Old Tbilisi, in Kala district is located a rectangular planning brick structure that functioned as a mosque until the late 18<sup>th</sup> century. However, the local population called it 'Cult' place and Atashgah, or fire temple.

ICOMOS Georgia with the support of Danish Foreign Ministry and Danish Cultural Heritage Directory in relation to this structure conducted a series of investigations that comprised small scale architectural and archaeological works.

The structure has been recorded by several foreign travelers (Shardene, Tournefort, Gagarin, Chernetsov) and it is often seen on the panoramas of Old Tbilisi. The structure was also depicted on several plans and photographs of 19<sup>th</sup> century as one of the important sights of the town.

The structure was roofed by dome that existed until the beginning of 20<sup>th</sup> century. Currently the dome is collapsed. It was supported by squinches and evidenced late Sassanian – early Islamic style. The structure was set on complicated rocky slope inclined from south to north. Prior to structure construction the flat and rectangular platform has been arranged in a similar way to Iranian building tradition. In the inner space of the structure, on a rocky surface was identified an oval ditch with dowel hole inside. We can presume that here was an area, where a specific object was embodied and for that reason the site might be referred as 'Cult' place.

Identification of several constructional layers revealed initial core building with arches on four sides, dome set on squinches, and a pathway around. Obviously a fire temple has been exposed, which typologically belonged to čahār-tāq or 'four arches'.

Apparently the temple was constructed during the reign of Stepanoz I in Kartli (590-605). Commencement of Stepanoz I ruling corresponded to Khosrau II reign in Iran. From historical sources could be concluded that his political and religious orientation was totally Sassanian. Later Tbilisi became an area, where Sassanian Iran was confronted by Byzantine Empire and its ally Khazar Kaghannate for the world hegemony. The first two months siege of Tbilisi lasted with Byzantine and its ally's failure. The second siege appeared successful and ended in the spring of 628 with a capture and execution of town defenders and obliteration of Zoroastrian, pagan, and Monophysite temples. The function of Atashgah should be canceled in the same 628 year. It should be mentioned that the strongest resistance was met by coalition from that very district, where the fire temple was located.

Iran was weakened in these fights and could not effort to oppose Arabs and Islam. After defeating Iran a direct way laid to Transcaucasia. From the second half of eight century, after Marwan II ibn Muhammad devastating campaign in Georgia, Muslim administration has been established in Tbilisi and it was a perfectly natural act to construct a mosque there. The existence of Atashgah and even its remains was entirely unacceptable. The temple or the remnants might have been reminiscent of Zoroastrian religion that dominated in east in the recent past.

Therefore during Islamic period the temple has been modified. Arches have been filled, created decorative facade, the core structure has been framed with bricks.

Atashgah is a significant historical, architectural and archaeological monument at the same time. It is an organic creation of political events that took place in Transcaucasia. An architectural monument, especially cultic, always precisely illustrates the history of a country of its origin.

## სარჩევი

ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი („ათეშგა“)	3
ილუსტრაციების აღწერილობა	21
შემოკლებითა განმარტება	25
ილუსტრაციები	26
რეზიუმე	66